სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ანგარიში 2024 წ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2024 წლის ანგარიშს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 26 ივლისის N357/ს ბრძანების საფუძველზე, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი ნატო სულუაშვილი.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ, ელექტრონული ფორმით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წარმოდგენა უზრუნველყოფილია სააგენტოს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (info@nea.gov.ge), საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში (2023 წლის 13 დეკემბრიდან 2024 წლის 10 დეკემბრამდე) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავის შესაბამისად, სააგენტოს საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით მომართა 286 განმცხადებელმა. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, რეაგირება განხორციელდა ყველა მოთხოვნაზე. კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, სრულად დაკმაყოფილდა 275, ხოლო არ დაკმაყოფილდა 4, რის გამოც შემოტანილი იქნა საჩივარი და ინფორმაცია გაიცა სრულად.

ამ დროისათვის დამუშავების პროცესშია 11 განცხადება.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოში შემოსული 286 განცხადებიდან:

- 49 შემთხვევა შემოვიდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გავლით;
- 69 შემთხვევაში, დაინტერესებული პირი იყო ფიზიკური პირი;
- 19 შემთხვევაში განმცხადებელი იყო მედიის წარმომადგენელი;
- 38 შემთხვევაში დაინტერესებული პირი იყო სამეწარმეო იურიდიული პირი;
- 77 შემთხვევაში განცხადება შემოვიდა სახელმწიფო უწყებებიდან;
- 32 შემთხვევაში განცხადება შემოვიდა არასამთავრობო ორგანიზაციიდან.
- 2 შემთხვევაში განცხადება შემოვიდა საერთაშორისო ორგანიზაციიდან.

სააგენტოში შემოსული ზოგიერთი განცხადება შეიცავდა ისეთი მოთხოვნებს, რომლებიც სცილდებოდა სააგენტოს კომპეტენციას, თუმცა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის საფუძველზე, მოთხოვნები განსახილველად გადაეგზავნა შესაბამის სახელმწიფო უწყებებს. აღნიშნულის შესახებ კი ინფორმაცია მიეწოდათ განმცხადებლებს.

უწყებაში პერსონალური მონაცემები დაცულია, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში ინახება ელექტრონული ფორმით არსებული პერსონალური მონაცემები, რომლებსაც განმცხადებელი უთითებს მის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში. აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავების და შეგროვების უფლებამოსილება. დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში

არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც გამორიცხავს არაუფლებამოსილი პირებისთვის პერსონალურ მონაცემებზე წვდომას.

სააგენტოს მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვებასთან, დამუშავებასთან, შენახვასა და გადაცემასთან დაკავშირებული წარმოება ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნათა შესაბამისად.

2024 წლის საანგარიშო პერიოდში სააგენტოს საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა.

პატივისცემით,